

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ შემოქმედებითობასთან

ნათია სორდია, ხათუნა მარწყვიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის შესახებ არსებული კვლევებიდან ცნობილია, რომ საქმე ურთიერთდამოუკიდებელ, თუმცა გარკვეულწილად, ურთიერთდაკავშირებულ კონსტრუქტებთან გვაქვს (Ivcevic et al., 2007). ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირი შესაძლოა ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის კავშირის მსგავსი იყოს (Averill, 1999). კერძოდ, შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც არსებობდეს ზღურბლის ეფექტი, რაც ჯერჯერობით დადასტურებული არ არის. მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ამ ცვლადებს შორის არსებული კავშირის სპეციფიკის დადგენას ზღურბლის თეორიის შემონიშნის საფუძველზე. კვლევაში მონაწილეობდა 17-დან 49 წლამდე ასაკის ($M=21.87$, $SD=5.84$), 342 ინდივიდი. მონაცემთა ანალიზმა დაადასტურა, რომ ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა ურთიერთდამოუკიდებელი, თუმცა ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია. ამ კავშირის თავისებურებათა შეფასებისას ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი როგორც ერთიანი კონსტრუქტი, ასევე, მისი კომპონენტები, ემოციური შემოქმედებითობის პრედიქტორები არიან. სემანტიკური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ ზღურბლის ჰიპოთეზის საფუძველად მდებარე პრინციპი ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირის სპეციფიკას განსაზღვრავს. კერძოდ, ემოციური ინტელექტის ორ ფაქტორს – სოციალურობა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა – პრედიქტორული ღირებულება აქვს ემოციური შემოქმედებითობისთვის მაშინ, როდესაც ემოციური ინტელექტის ქულა ზღურბლის მაჩვენებელზე მაღალია; ხოლო ემოციურობისა და თვითკონტროლის ფაქტორებს კი – როდესაც ემოციური ინტელექტის ქულა ზღურბლის მაჩვენებლებზე დაბალია. მოცემული კვლევა გვანვდის ინფორმაციას ემოციურ ინტელექტს, როგორც პიროვნულ ნიშანსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირის სპეციფიკის შესახებ, რითიც ამ ორი კონსტრუქტის ბუნებისა და თავისებურებების შესახებ არსებულ ცოდნას აფართოებს.

ძირითადი ცნებები: ემოციური ინტელექტი, ემოციური შემოქმედებითობა, ზღურბლის თეორია

ფართოდ გავრცელებული განმარტების თანახმად, ემოციური ინტელექტი არის ემოციების აღქმის, გაგების, გამოხატვის, მართვის და რეგულირების უნარი (Mayer & Salovey, 1997). ემოციური ინტელექტის შესახებ არსებული განსხვავებული თეორიული მოდელები, კონსტრუქტის ურთიერთგანსხვავებულ კონცეპტუალიზაციას გვთავა-

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ...

ზობენ. ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მოდელის მიხედვით, ემოციური ინტელექტი ემოციებთან დაკავშირებული თვითაქემების ერთობლიობას წარმოადგენს და ოთხ ფაქტორს მოიცავს; ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, თვით-კონტროლი, ემოციურობა და სოციალურობა. პირველი, ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების გენერალიზებულ განცდას უკავშირდება. თვითკონტროლი – გარემოს ზენოლასთან, სტრესთან გამკლავების, საკუთარი სურვილების კონტროლის უნარს გულისხმობს. ემოციურობაში საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების აღქმის, გამოხატვისა და ახალი ურთიერთობების დამყარების უნარი მოიაზრება. სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარს კი მეოთხე, სოციალურობის ფაქტორი ასახავს (Petrides & Furnham, 2000).

გარშემომყოფების და საკუთარი ემოციების აღქმის, გამოხატვის და მართვის უნარისგან (Mayer & Salovey, 1997) განსხვავებით, ემოციური შემოქმედებითობა განიმარტება, როგორც ორიგინალურ და ეფექტურ ემოციათა განცდის უნარი (Averill & Thomas-Knowles, 1991). ემოციური შემოქმედებითობა აერთიანებს ისეთ კომპონენტებს, როგორცაა: (1) სიახლე/ორიგინალურობა – ბაზისური ემოციების გარკვეული ვარიაციებისა და ინდივიდისთვის სპეციფიკური, ახალი ემოციების განცდის უნარი; (2) ეფექტურობა – ინდივიდის ან ჯგუფისთვის სარგებლის მოტანის უნარის ქონაში ვლინდება და (3) ავთენტურობა – ინდივიდის გამოცდილებისა და ღირებულებების უშუალოდ ასახვის შესაძლებლობა. ემოციურ შემოქმედებითობაზე საუბრისას, დამატებით, მზაობის კომპონენტი გამოიყოფა, რაც ემოციათა გაანალიზებისა და მათი შემდგომი გამოკვლევის, გააზრების სურვილს გულისხმობს.

სხენებული ორივე კონსტრუქტი ემოციებისა და ინტელექტუალური უნარების გამოყენებით, ემოციებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს ეხება, რაც ამ ორი კონსტრუქტისთვის საერთო მახასიათებელთა არსებობაზე მეტყველებს, თუმცა ემოციური ინტელექტის შემთხვევაში, ნეგატიურ ემოციებთან გამკლავება და პოზიტიური ემოციების განცდის ხელშეწყობა კონვერგენტულ აზროვნებას ეფუძნება (Mayer, Caruso, & Salovey, 1999), ემოციური შემოქმედებითობა კი პრობლემის მოგვარების ტრადიციული მეთოდისგან განსხვავებული მეთოდების ძიებას გულისხმობს და დივერგენტულ აზროვნებას უკავშირდება (Averill, 1999). საფუძვლად მდებარე პროცესების მიხედვით არსებული განსხვავების გარდა, ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის კორელატების კვლევისას ჩანს, რომ ემოციური შემოქმედებითობა კოგნიტურ ინტელექტს არ უკავშირდება (Averill & Thomas-Knowles, 1991), მაგრამ უკავშირდება შემოქმედებით აქტივობებს და ინტერესებს (Fuchs, Kumar, & Porter, 2007), ისეთ უნარებს, რომლებიც, საბოლოო ჯამში, აკადემიურ სფეროში წარმატების მიღწევის განმსაზღვრელია (Ahmadi, Ahmadi, & Delshad, 2015).

ემოციური შემოქმედებითობის ცალკეული კომპონენტები განსხვავებულად, თუმცა მნიშვნელოვნად არიან დაკავშირებულნი დიდი ხუთეულის ისეთ ნიშნებთან, როგორცაა გამოცდილებისადმი ღიაობა, ექსტრავერსია და ნევროტიზმი (Averill, 1999). რაც შეეხება ემოციური ინტელექტის პიროვნულ ნიშნებთან მიმართებას, ითვლება, რომ ის თანხმობისადმი მზაობასთან არის დადებით კორელაციაში (Mayer, Salovey, & Caru-

so, 2004). გარდა ამისა, ემოციური ინტელექტი დადებითად უკავშირდება აკადემიურ მიღწევებს, პროფესიულ საქმიანობაში წარმატებას (Goleman, 1995) და ჯანმრთელობას (Martins, Ramalho & Morin, 2010), ხოლო კავშირი დევიანტურ ქცევას, აგრესიულობასა და ალკოჰოლის მოხმარებასთან უარყოფითია (მაგ., Brackett & Mayer, 2003; Brackett, Mayer, & Warner, 2004; Petrides, Frederickson & Furnham, 2004).

ინტელექტისა და შემოქმედებითობის ურთიერთმიმართების კვლევისას, ამ ცვლადებს შორის შესაძლო კავშირის ხუთი ვარიანტი განიხილება: ერთ შემთხვევაში ისინი ურთიერთგადამფარავ ცვლადებად მიიჩნევა; მეორე შემთხვევაში აქცენტი მათ ურთიერთდამოუკიდებლობაზე კეთდება; ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ინტელექტი და შემოქმედებითობა ურთიერთდამოუკიდებელი, თუმცა ურთიერთდაკავშირებული ცვლადებია. ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ინტელექტი შემოქმედებითობის ფორმა ან შემოქმედებითობა ინტელექტის ფორმა (Sterneberg & O’Hara, 1999). დღეისათვის, აქტუალურ და ემპირიულად დასაბუთებულ თეორიად ითვლება ინტელექტისა და კრეატიულობის ზღურბლის თეორია (Threshold Theory of intelligence and creativity). ამ თეორიის თანახმად, ინტელექტი და შემოქმედებითობა ურთიერთდამოუკიდებელი და ურთიერთდაკავშირებული ცვლადებია, თუმცა ეს კავშირი ზღურბლის ეფექტს ექვემდებარება – ინტელექტის მინიმალური ზღურბლის არსებობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შემოქმედებითობის არსებობისთვის. ინტელექტი შემოქმედებითობის პრედიქტორია, თუმცა მას შემდეგ, რაც ინტელექტის კოეფიციენტი აღემატება 120 ქულას, კავშირი არასტაბილური ხდება და ინტელექტი შემოქმედებითობის პროგნოზირების უნარს კარგავს (Guilford, 1967; Torrance, 1962; Jauk, Benedek, Dunst, & Neubauer, 2013). ზღურბლის მაჩვენებელი კი იცვლება შემოქმედებითობის ფორმების და მათი გაზომვის საშუალებების ცვლილებასთან ერთად (Jauk et al., 2013).

როგორც ვხედავთ, ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა განსხვავებულ ცვლადებთან კორელირებენ და საფუძვლად მდებარე პროცესების განსხვავებულობითაც ხასიათდებიან. თუმცა, ორივე მათგანი ემოციური შინაარსის ინფორმაციის გადამუშავებასა და ემოციური პრობლემების გადაჭრას უწყობს ხელს (Averill, 1999; Mayer, Caruso, & Salovey, 1999), რაც მათ შორის კავშირის სპეციფიკას საინტერესოს ხდის. ჯ. ავერილი (Averill, 1999) გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ ორ, ემოციებთან დაკავშირებულ კონსტრუქტს შორის ურთიერთმიმართება შესაძლოა ისეთივე იყოს, როგორც ზოგად ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის კავშირია. ამ დაშვების გადასამოწმებლად ჩატარებული კვლევიდან (Ivcevic et al., 2007) ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა ურთიერთდამოუკიდებელი კონსტრუქტებია და მათ შორის კავშირი მცირე, თუმცა მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ამ კვლევებში არაა შემოწმებული ექვემდებარება თუ არა ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ კრეატიულობას შორის კავშირის სპეციფიკა ზღურბლის თეორიის პრინციპებს. კერძოდ, გარკვეული მაჩვენებლის შემდეგ იცვლება თუ არა ცვლადებს შორის მიმართების სპეციფიკა. მიმდინარე კვლევა მიზნად ისახავს სწორედ ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის არსებული კავშირის თავისებურებათა დადგენას ზღურბლის თეორიის შემოწმების საფუძველზე.

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ...

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობდა 342 ინდივიდი (253 ქალი; $M_{\text{ასაკი}}=21.87$, $SD=5.84$). მონაწილეთა უმრავლესობა (80%) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც კვლევაში მონაწილეობის სანაცვლოდ, სასწავლო კურსის ფარგლებში, დამატებით ქულებს იღებდნენ. კვლევის მონაწილეები კითხვარებს ავსებდნენ ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში.

კვლევის ინსტრუმენტები

ემოციური ინტელექტი. ემოციური ინტელექტის გასაზომად გამოვიყენეთ ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის შესაფასებელი კითხვარის (TEQue; Petrides, 2009) ქართული ვერსია (Martskvishvili, Arutinov, & Mestvirishvili, 2013). კითხვარი მოიცავს 153 დებულებას და ემოციური ინტელექტის გლობალურ ქულასთან ერთად, 15 ცალკეულ ასპექტსა და ოთხ ძირითად ფაქტორს (ემოციურობა, სოციალურობა, კარგად ყოფნა და თვითკონტროლი) ზომავს. დებულებები ფასდება 1-დან 7-მდე ლიკერტის ტიპის სკალაზე.

ემოციური შემოქმედებითობა. ემოციური შემოქმედებითობის შეფასება მოხდა ემოციური შემოქმედებითობის შესაფასებელი კითხვარის (ECI; Averill, 1999) ქართული ვერსიის (Martskvishvili, Abuladze, Sordia, & Neubauer, 2017) გამოყენებით. კითხვარი ემოციური შემოქმედებითობის ისეთ ასპექტებს ზომავს, როგორიც მზაობა, სიახლე, ეფექტურობა და ავთენტურობაა.

მონაცემთა ანალიზი

ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის ურთიერთდამოუკიდებლობის შესაფასებლად, ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზი გამოვიყენეთ. ამ ორი კონსტრუქტის ურთიერთმიმართების სპეციფიკის შეფასება, პირველ ეტაპზე, ნრფივი რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მოხდა, ზღურბლის ეფექტის შესამოწმებლად კი სეგმენტური რეგრესიული ანალიზი გამოვიყენეთ.

შედეგები

ემოციური ინტელექტის ოთხი ძირითადი ფაქტორი და ემოციური შემოქმედებითობის ოთხი ასპექტი დამუშავდა ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის (PCA) მეთოდის გამოყენებით. ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზის გამოყენებამდე, Kaiser-Meyer-Olkin-ის (Kaiser, 1970, 1974) მაჩვენებლისა (.74) და Bartlett-ის ტესტის ($p=.000$) (Bartlett, 1954) შედეგების საფუძველზე, დადასტურდა, რომ მონაცემები ფაქტორული ანალიზისთვის გამოსადეგია. ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზისას, ვარიანსის ბრუნვით გამოიკვეთა ორი ძირითადი ფაქტორი, რომელთა კუთრი წონაც (eigenvalues) აღემატება ერთს. ეს ორი ფაქტორი მონაცემთა ვარიაციულობის 62%-ს ხსნის. ფაქტორული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი №1. ემოციურ მახასიათებელთა ფაქტორული სტრუქტურა

	ემოციური შემოქმედებითობა	ემოციური ინტელექტი
ავთენტურობა	.853	
სიახლე	.801	
მზაობა	.720	
ეფექტურობა	.617	
კარგად ყოფნა		.828
ემოციურობა		.776
სოციალურობა		.699
თვითკონტროლი		.682

ფაქტორების გამოყოფის მეთოდი: ძირითადი კომპონენტების ფაქტორული ანალიზი
 ბრუნვის მეთოდი: ვარიანსი, კაიზერის კრიტერიუმით
 ბრუნვების რაოდენობა – 3

ემოციური შემოქმედებითობის კავშირი ემოციური ინტელექტის ცალკეულ ფაქტორებსა და ასპექტებთან მოცემულია ცხრილში №2. ემოციური ინტელექტი დაკავშირებულია ემოციურ შემოქმედებითობასთან და ეს კავშირი მნიშვნელოვანია ორივე კონსტრუქტის ცალკეული ასპექტებისთვის.

ცხრილი №2. ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კორელაცია

	სიახლე	მზაობა	ეფექტურობა	ავთენტურობა	საერთო მაჩვენებელი
ასპექტები					
ადაპტაცია	.137*	.157**	.230**	.126*	.199**
ასერტულობა	.161**	-.016	.241**	.085	.166**
ემოციების გამოხატვა	.109	.272**	.572**	.185**	.321**
ემოციების მართვა	.291**	.198**	.271**	.281**	.341**
ემოციების აღქმა	-.076	.176**	.250**	.047	.083
ემოციების	-.128*	.026	-.037	-.150**	-.113*
რეგულირება					
იმპულსურობა	-.74**	.051	-.057	-.203**	-.199**
ურთიერთობები	-.053	.136*	.302**	.075	.107
თვითშეფასება	.087	.181**	.321**	.149**	.216**
მოტივაცია	-.012	.207**	.128*	-.068	.053
სოციალური	.204**	.235**	.404**	.197**	.317**
ცნობიერება					
სტრესის მართვა	-.129*	.004	.010	-.124*	-.095
ემპათია	.252**	.347**	.312**	.332**	.378**
ბედნიერება	.053	.131*	.224**	.147**	.166**
ოპტიმიზმი	.033	.147**	.211**	.034	.122*
ფაქტორები					
ემოციურობა	.091	.326**	.511**	.225**	.318**
სოციალურობა	.263**	.155**	.362**	.220**	.325**
კარგად ყოფნა	.065	.177**	.290**	.125*	.193**
ემოციური ინტელექტი					
გლობალური ქულა	.067	.249**	.375**	.118*	.225**

P<.01** p<.05*

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ...

ემოციური ინტელექტის და ემოციური შემოქმედებითობის ურთიერთმიმართების სპეციფიკის დასადგენად ჩავატარეთ რეგრესიული ანალიზი. ანალიზიდან ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი ემოციური შემოქმედებითობის პრედიქტორია ($F(4.300) = 21.207, p < .000, R^2 = .22$). ემოციური ინტელექტის ოთხფაქტორიანი მოდელი, ემოციური შემოქმედებითობის ქულათა ვარიაციულობის 22 პროცენტს ხსნის. ემოციური ინტელექტის ფაქტორებიდან თვითკონტროლი ყველაზე ძლიერი უარყოფითი პრედიქტორია. ნრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში №3.

ცხრილი №3. ნრფივი რეგრესიული ანალიზი

	არასტანდარტიზებული კოეფიციენტი		სტანდარტიზებული კოეფიციენტი		Sig.
	B	Std. Error	Beta	t	
Constant	2.388	.233		10.228	.000
ემოციურობა	.193	.050	.251	3.891	.000
სოციალურობა	.168	.045	.231	3.711	.000
კარგად ყოფნა	.048	.040	.081	1.191	.235
თვითკონტროლი	-.224	.039	-.332	-5.804	.000

შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი – ემოციური შემოქმედებითობა

ზღურბლის ეფექტის შესამოწმებლად ჩატარდა სეგმენტური რეგრესიული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, ემოციური ინტელექტის ერთიანი ქულის და ცალკეული ფაქტორების ქულათა მედიანები ავიღეთ, როგორც ზღურბლის რიცხვითი მნიშვნელობები. ზღურბლი თვითკონტროლის ფაქტორისთვის 4.36 იყო, ემოციურობის ფაქტორისთვის – 4.88, სოციალურობისთვის – 4.90, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ფაქტორისთვის – 5.17, ხოლო ემოციური შემოქმედებითობის ერთიანი ქულისთვის – 4.72. ზღურბლის ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარებული სეგმენტური რეგრესიული ანალიზის შედეგები და ემოციურ შემოქმედებითობასთან არსებული კორელაციური კავშირები ასახულია ცხრილში N4.

ზღურბლის თეორიის კლასიკური ვარიანტი¹ მხოლოდ თვითკონტროლის ფაქტორთან მიმართებაში დასტურდება. თვითკონტროლის ფაქტორზე დაბალი ქულის ქონა ემოციური შემოქმედებითობის ($F(1.154) = 23.770, p < .001, R^2 = .14$), სიახლის ($F(1.155) = 20.700, p < .001, R^2 = .12$), ეფექტურობის ($F(1.154) = 12.994, p < .001, R^2 = .08$) და ავტენტურობის ($F(1.155) = 15.994, p < .001, R^2 = .09$) დაბალი მაჩვენებლის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, მზაობის ფაქტორთან კი მნიშვნელოვანი კავშირი არ ვლინდება. თვითკონტროლის სკალაზე მაღალი ქულის ქონა მხოლოდ მზაობის ფაქტორთან კორელაციის არსებობას განაპირობებს ($r = .210, p < .00$), თუმცა მაღალი თვითკონტროლი მზაობის ქულათა ვარიაციულობის წინასწარმეტყველების საშუალებას არ იძლევა.

¹ გარკვეულ ზღურბლამდე არსებული ქულები დამოუკიდებელ ცვლადს დამოკიდებული ცვლადის წინასწარმეტყველების უნარს სძენს. ხოლო მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობები ზღურბლს სცდება, ის დამოკიდებული ცვლადის პროგნოზირების უნარს კარგავს.

ემოციური ინტელექტის ემოციურობასთან დაკავშირებულ ფაქტორზე ($F(1.152) = 8.356, p < .01, R^2 = .05$) ზღურბლამდე არსებული ქულები ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა. ხოლო მას შემდეგ, რაც ემოციურობის ქულები ზღურბლს სცდება, ის ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების უნარს კარგავს.

ემოციური ინტელექტის ცალკეული ფაქტორების ემოციურ შემოქმედებითობასთან კავშირის შეფასებისას ზღურბლის ეფექტი დასტურდება, თუმცა, ამ შემთხვევაში, ცვლადებს შორის კავშირი მნიშვნელოვანი მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც პრედიქტორის ქულები ზღურბლს აღემატება. კერძოდ, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის ($F(1.156) = 7.013, p < .01, R^2 = .04$) და სოციალურობის ($F(1.155) = 7.398, p < .01, R^2 = .05$) მაჩვენებლების მატებასთან ერთად, ისინი ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების უნარს იძენენ.

ემოციური შემოქმედებითობის ცალკეულ ასპექტებთან მიმართებაში ჩატარებული სეგმენტური რეგრესიული ანალიზიდან ჩანს, რომ სიახლის წინასწარმეტყველების უნარს სოციალურობა ($F(1.155) = 7.439, p < .01, R^2 = .05$) მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც სოციალურობის ფაქტორზე მიღებული ქულები ზღურბლზე მაღალია. ეფექტურობის წინასწარმეტყველების უნარს კი, ზღურბლზე მაღალი ქულების არსებობის შემთხვევაში, ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან ($F(1.157) = 25.847, p < .000, R^2 = .14$) დაკავშირებული ფაქტორი იძენს. ამ ფაქტორზე ($F(1.158) = 4.954, p < .05, R^2 = .03$) უკიდურესად მაღალი ქულების ქონა მზაობასთან დაკავშირებული ასპექტის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა. მზაობის ქულათა წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა ემოციური შემოქმედებითობის ($F(1.153) = 10.510, p < .001, R^2 = .07$) ერთიანი და მაღალი ქულაც.

ცხრილი №4. სეგმენტური რეგრესიული ანალიზის შედეგები

	არასტანდარტიზებული კოეფიციენტი					r	ზღურბლი	სტანდარტიზებული კოეფიციენტი					
	B	Std. Error	Beta	t	Sig.			B	Std. Error	Beta	t	Sig.	
ემოციური შემოქმედებითობა													
Constant	4.735	.266		17.778	.000			3.389	.495		6.851	.000	
თვითკონტროლი	-.343	.070	-.366	-4.875	.000	-.366**	> 4.36 <	.002	.100	.001	.018	.986	.001
Constant	2.684	.420		6.391	.000			2.348	.456		5.145	.000	
სოციალურობა	.136	.096	.114	1.428	.155	.114	> 4.90 <	.225	.083	.213	2.720	.007	.213**
Constant	1.963	.461		4.255	.000			2.649	.508		5.213	.000	
ემოციურობა	.306	.106	.228	2.891	.004	.228**	> 4.88 <	.169	.093	.144	1.809	.072	.144
Constant	3.256	.325		10.021	.000			2.211	.497		4.448	.000	
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.020	.074	.021	.265	.792	.021	> 5.17 <	.228	.086	.207	2.648	.009	.202*
სიახლე													

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ...

Constant	4.883	.342		14.291	.000			4.071	.674		6.039	.000	
თვითკონტროლი	-.410	.090	-.343	-4.550	.000	-0.343**	> 4.36 <	-.173	.136	-.101	-1.271	.206	-.101
Constant	2.285	.548		4.169	.000			1.660	.653		2.542	.012	
სოციალური	.198	.125	.126	1.587	.115	.126	> 4.90 <	.323	.118	.214	2.727	.007	.214**
ეფექტურობა													
Constant	4.841	.403		12.010	.000			2.886	.659		4.376	.000	
თვითკონტროლი	-.383	.106	-.279	-3.605	.000	-0.279**	> 4.36 <	.122	.133	.073	.916	.361	.073
Constant	2.899	.450		6.446	.000			.326	.650		.501	.617	
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.089	.102	.070	.872	.385	.070	> 5.17 <	.572	.113	.376	5.084	.000	.377**
ავტენტურობა													
Constant	5.506	.378		14.574	.000			4.048	.644		6.286	.000	
თვითკონტროლი	-.398	.100	-.305	-3.993	.000	-0.305**	> 4.36 <	-.035	.130	-.022	-.271	.786	-.022
მზაობა													
Constant	2.533	.684		3.702	.000			1.496	.694		2.157	.033	
ემოციური შემოქმედება	.231	.158	.118	1.460	.146	.040	> 4.72 <	.429	.132	.254	3.242	.001	.254**
Constant	3.233	.363		8.916	.000			2.351	.618		3.805	.000	
ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა	.073	.083	.071	.890	.375	.071	> 5.17 <	.238	.107	.174	2.226	.027	.169*

$P < .01^{**}$ $p < .05^*$

შედეგების განხილვა

ფაქტორული ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ ემოციურ მახასიათებელთა ცალკეული ასპექტები ორი ძირითადი ფაქტორის გარშემო ერთიანდებიან. არცერთ ასპექტს არ აქვს ორმაგი ფაქტორული დატვირთვა და მხოლოდ იმ ფაქტორზე მუშაობს, რომლის შესაფასებლადაც არის შექმნილი. ფაქტორული ანალიზის შედეგად, ორი, მკაფიოდ განსაზღვრული ფაქტორის გამოყოფა, ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის ურთიერთდამოუკიდებლობის მხარდამჭერ არგუმენტად შეიძლება განვიხილოთ. ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა მართალია ურთიერთდამოუკიდებელი, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული კონსტრუქტებია, რაც შესაბამისობაშია ამ ორი კონსტრუქტის შესადარებლად, 2007 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებთან (Ivcevic et al., 2007). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩვენი კვლევის შემთხვევაში ცვლადებს შორის კავშირი შედარებით ძლიერია. როცა ამ კავშირის სპეციფიკას ვაფასებთ, ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი ემოციური შემოქმედებითობის პრედიქტორია – განსაკუთრებით ძლიერი პრედიქტორული ღირებულება აქვს თვითკონტროლის ფაქტორს, რომელიც უარყოფითად არის დაკავშირებული ემოციურ შემოქმედე-

ბითობასთან როგორც ერთიან კონსტრუქტთან, ისე მის სამ – ეფექტურობა, ავთენტურობა, სიახლე – ასპექტთან. ზომიერად მაღალი თვითკონტროლით გამორჩეული ადამიანები ახალი, ეფექტური და ორიგინალური ემოციების განცდისგან თავშეკავებულობით ხასიათდებიან. მათი ემოციები დაბალი ავთენტურობით გამოირჩევა. თუმცა, მას შემდეგ, რაც თვითკონტროლის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალი ხდება, ის ემოციური შემოქმედებითობის პროგნოზირების უნარს კარგავს. ასეთი მაღალი ქულებით გამორჩეული ადამიანების შესახებ მხოლოდ იმის თქმა ხდება შესაძლებელი, რომ ისინი ემოციების გაანალიზებისთვის და ახალი და განსხვავებული ემოციების გამოკვლევისთვის მზაობას ავლენენ. თუ გავითვალისწინებთ თვითკონტროლის ფაქტორის თავისებურებას, რაც გარემოში არსებულ სტრესორთან გამკლავებას, საკუთარი სურვილების მართვას ისახავს მიზნად (Petrides & Furnham, 2000), შესაძლოა სტაბილურობისა და კონტროლის განცდისთვის საფრთხის წყაროს – განსხვავებული და ახალი ემოციების – შესწავლისა და გამოკვლევისთვის მზაობა, თვითკონტროლის ინსტრუმენტად განვიხილოთ, რაც სტრესულ მოვლენასთან (გარემოში იქნება სტრესის წყარო თუ საკუთარ ორიგინალურ სურვილებში) გასამკლავებლად, პრობლემაზე ფოკუსირებული დაძლევის სტრატეგიის (Brannon & Feist, 2009) გამოყენებაში ვლინდება.

ზღურბლის ეფექტი, კლასიკური გაგებით, დასტურდება ემოციური ინტელექტის ემოციურობასთან დაკავშირებული ფაქტორის შემთხვევაშიც. ჩანს, რომ ემოციური ინტელექტის ფაქტორი – ემოციურობა, ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, თუმცა მას შემდეგ, რაც ემოციურობის მაჩვენებელი უკიდურესად მაღალი ხდება, ის ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველების უნარს კარგავს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ფაქტორი ემოციების აღქმას, ცნობას, გაგებას, ემპათიურობას, კომუნიკაციის მიზნით ემოციების გამოყენებას გულისხმობს (Petrides & Furnham, 2000), ლოგიკურია, რომ ის პრობლემის მოგვარებისას, ემოციებთან დაკავშირებით უკვე არსებული ინფორმაციის გამოყენებას უკავშირდება – სწორ და გამოცდილ გამოსავალზე ორიენტაციით ხასიათდება და ნაკლებად ეხება ახალი, ორიგინალური ემოციების განცდისა და მათი გამოკვლევის ტენდენციას.

ემოციურობისგან განსხვავებით, სოციალურობის ფაქტორის ფარგლებში, ემპათიურობაზე მეტი ყურადღება გულწრფელობას, ასერტულობას, საკუთარი ემოციების გათვალისწინებით, სოციალური ურთიერთობების რეგულირების, გარემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარს ეთმობა (Petrides & Furnham, 2000). ამ ფაქტორზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანები, როგორც ჩანს, ბაზისური ემოციების მრავალფეროვანი კომბინაციების განცდის და გაცნობიერების უნარით ხასიათდებიან.

ასევე, როცა ადამიანი საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილია, საკუთარი თავის და შესაძლობლობების რწმენა აქვს, მომავლის მიმართ იმედით არის განწყობილი – როცა ემოციური ინტელექტის ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასთან დაკავშირებულ ფაქტორზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა (Petrides & Furnham, 2000), ჩანს, რომ ასეთი ადამიანი ახალი და ორიგინალური ემოციების განცდისთვის მზად არის და, ამასთან, მის მიერ პროდუცირებული ორიგინალური ემოციები ეფექტურობითაც ხასიათდება.

ამდენად, ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის არსებული კავშირი არასწორხაზოვანია – ინტელექტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემოქმედებითობის წი-

ზღურბლის ეფექტი: ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის მიმართება ემოციურ...

ნასწარმეტყველებაში, თუმცა მას შემდეგ, რაც ინტელექტის კოეფიციენტი ზღურბლზე მაღალია, ის შემოქმედებითობისთვის მნიშვნელოვანი პრედიქტორი აღარაა (Jauk et al., 2013). ჩვენი კვლევიდან ჩანს, ემოციური ინტელექტის როლი ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველებაში მნიშვნელოვანია, ამ ორ კონსტრუქტს შორის არსებული კავშირი ზღურბლის ეფექტს ექვემდებარება, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგად ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის არსებული კავშირის სპეციფიკისგან.

დასკვნა

მოცემული კვლევიდან ჩანს, თუ როგორია ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას, როგორც ურთიერთდამოუკიდებელ და ურთიერთდაკავშირებულ ცვლადებს შორის კავშირის სპეციფიკა. ჩანს, რომ ემოციური ინტელექტი და ემოციური შემოქმედებითობა ინტელექტსა და შემოქმედებითობას შორის კავშირის მსგავსია – ემოციური ინტელექტი ემოციური შემოქმედებითობის პრედიქტორია. მაღალი თვითკონტროლის მქონე ადამიანები ემოციური შემოქმედებითობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. ემოციური შემოქმედებითობის ცალკეულ ფაქტორებთან მიმართებაში დასტურდება ზღურბლის თეორია და ჩანს, რომ თვითკონტროლის და ემოციურობის სკალაზე უკიდურესად მაღალი ქულების არსებობა, ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველებას შეუძლებელს ხდის. ხოლო სოციალურობისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის სკალებზე კი მხოლოდ უკიდურესად მაღალი ქულების ქონის შემთხვევაში ხდება შესაძლებელი ემოციური შემოქმედებითობის წინასწარმეტყველება.

კვლევის შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ემოციური ინტელექტისა და ემოციური შემოქმედებითობის შეფასება თვითანგარიშის ტიპის კითხვარებით მოხდა. საინტერესოა ემოციურ მახასიათებელთა შეფასების საშუალებები ახდენს თუ არა გავლენას ამ მახასიათებლებს შორის კავშირზე და იცვლება თუ არა ზღურბლი, გამოყენებული ინსტრუმენტების შესაბამისად. ასევე, საინტერესოა, ემოციურ ინტელექტსა და ემოციურ შემოქმედებითობას შორის კავშირი ასაკის და სქესის შესაბამისად თუ იცვლება. ემოციურ მახასიათებელთა საფუძვლად მდებარე პროცესების განსხვავებულობის საჩვენებლად, კარგი იქნება პრობლემის გადაჭრის სტრატეგიებთან, დივერგენტულ და კონვერგენტულ აზროვნებასთან ამ კონსტრუქტების კავშირის კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Ahmadi, F., Ahmadi, J., & Delshad, R. (2015). The relationship between emotional and cognitive creativity and metacognitive skill. *GMP Review, Vol.18*(1), 456-461.
- Averill, J. R. (1999). Individual differences in emotional creativity: Structure and correlates. *Journal of Personality, 67*, 331-371.
- Averill, J.R., & Thomas-Knowles, C. (1991). Emotional creativity. *International Review of Studies on Emotion, Vol.1*, 269-299. London; Wiley.
- Brannon, L., & Feist, J. (2009). Personal Coping Strategies. *Health Psychology: An Introduction to Behavior and Health* (7th ed.). Wadsworth Cengage Learning. pp. 121–131. ISBN 978-0-495-60132-6.

- Brackett, M. A., & Mayer, J. D. (2003). Convergent, discriminant, and incremental validity of competing measures of emotional intelligence. *Personality and Social Psychology Bulletin*, 29, 1147–1158.
- Brackett, M. A., Mayer, J. D., & Warner, R. M. (2004). Emotional intelligence and its relation in everyday behavior. *Personality and Individual Differences*, 36, 1387–1402.
- Fuchs, G. L., Kumar, V. K., Porter, J. (2007). Emotional creativity, Alexithymia, and styles of creativity. *Creativity Research Journal*, 19, 233-145.
- Goleman, D. (1995). *Emotional Intelligence*. Bantam Books, New York, NY.
- Guilford J. P. (1967). *The nature of human Inteligence*. New-York: McGrow-Hill.
- Ivcevic, Z., Brackett, M.A., Mayer, J.D. (2007). Emotional intelligence and emotional creativity. *Journal of personality*, Vol. 75(2), 199-235.
- Jauk E., Benedek M., Dunst B., Neubauer A.C (2013). The relationship between intelligence and creativity: New support for the threshold hypothesis by means of empirical breakpoint detection. *Intelligence* 41, 212-221.
- Kaiser, H. (1970). A second generation Little Jiffy. *Psychometrika*, 35, 401-15. (1974). An index of factorial simplicity. *Psychometrika*, 39, 31-6.
- Mayer, J. D., Caruso, D., & Salovey, P. (1999). Emotional intelligence meets traditional standards for an intelligence. *Intelligence*, 27, 267–298.
- Mayer, J. D. & Salovey, P. (1997). What is emotional intelligence? In P. Salovey & D. Sluyter (Eds). *Emotional Development and Emotional Intelligence: Implications for Educators* (pp. 3-31). New York: Basic Books.
- Mayer, J. D., Salovey, P., & Caruso, D. R. (2004). Emotional intelligence: Theory, findings, and implications. *Psychological Inquiry*, 15, 197-215.
- Marthins, A., Ramalho, N., & Morin, E. (2010). A comprehensive meta-analysis of the relationship between Emotional Intelligence and health. *Personality and Individual Differences*, 49(6), 554-564.
- Martskvishvili, Kh., Arutinov, L., & Mestvirishvili, M. (2013). A Psychometric Investigation of the Georgian Version of the Trait Emotional Intelligence Questionnaire. *Europian Journal of Psychological Assesment*, 29, 84-84. DOI: 10.1027/1015-5759/a000135.
- Martskvishvili, Kh., Abuladze, N., Sordia, N., & Neubauer, A. (2017). Emotional creativity inventory: Factor Structure, Reliability and Validity in a Georgian Speaking Population. *Problems of Psychology in the 21st Century*.11(1), 31-41
- Petrides, K.V. (2009). *Technical manual for the Trait Emotional Intelligence Questionnaires* (TEIQue). London: London Psychometric Laboratory.
- Petrides, K. V., & Furnham, A. (2000). On the dimensional structure of emotional intelligence. *Personality and Individual differences*, 29, 313-320.
- Petrides, K. V., Frederickson, N., & Furnham, A. (2004). The role of trait emotional intelligence in academic performance and deviant behavior at school. *Personality and Individual Differences*, 36, 277–293.
- Sternberg, R. J., & O’Hara, L. A. (1999). Creativity and intelligence. In R. J. Sternberg (Ed.), *Handbook of creativity* (pp. 251 – 272). Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Torrance, E.P. (1962). *Guiding creative talent*. Englewood Cliffs, NJ: Prentice Hall.

THRESHOLD HYPOTHESIS: THE RELATIONSHIP BETWEEN EMOTIONAL INTELLIGENCE AND EMOTIONAL CREATIVITY

Natia Sordia

Khatuna Martskvishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi state university

Summary

The previous study (Ivcevic et al., 2007) related to the relationship between emotional intelligence (EI) and emotional creativity (EC) showed that these two constructs represent interrelated but independent sets of abilities. It was proposed that the connection between those emotional traits could be the same as the association between general intelligence and creativity is (Averill, 1999). However, it is still not clear whether this relationship is determined by the threshold hypothesis. The present work aims to explore the specificity of the relationship between emotional intelligence and emotional creativity – namely, to examine the threshold hypothesis. 342 individuals participated in the study, aged from 17 to 49 ($M=21.87$, $SD=5.84$). Results indicate that emotional intelligence and emotional creativity are independent but related constructs. Emotional intelligence as a unitary construct as well as its factors predicts emotional creativity. And this relationship is explained by the threshold hypothesis. Namely, segmented regression showed that sociability and well-being predict emotional creativity when scores on those factors are higher than the threshold is. Emotionality and self-control predict emotional creativity only when scores on mentioned emotional intelligence factors are less than the threshold is. The relationship between emotional creativity and emotional intelligence is explained by the threshold hypothesis. The obtained data sheds light on the specificity of the relationship between trait emotional intelligence and the creativity in emotional domain.

Key words: *Emotional intelligence, emotional creativity, threshold theory*